**სს „სილქ ბანკი“ აცხადებს ტენდერს სანათების შესყიდვაზე**

ტენდერის მიზანია გამოავლინოს დაინტერესებული კომპანიები, რომლებიც შეძლებენ მოთხოვნილი მომსახურების გაწევას.

**შესყიდვის ობიექტი**

შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალი, რაოდენობა და მახასიათებლები მოცემულია - დანართში №2, სადაც მითითებულია როგორც სანათების მახასიათებლები, ასევე მწარმოებელი კომპანიების დასახელება. დასაშვებია სხვა ბრენდების ალტერნატიული ვარიანტების განხილვაც, თუმცა დაცული უნდა იყოს დიზაინი.

**ტენდერის პირობები**

- საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს კონტრაქტით განსაზღვრულ ვადებში;
- ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მომწოდებელი კომპანია ბანკის მიერ მითითებულ მისამართებზე;
- წინადადებაში მითითებული ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ და ტრანსპორტირების/მოწოდების ხარჯები საქართველოს მაშტაბით;
- სანათების რაოდენობა შესაძლოა დაკორექტირდეს მცირედით;

**აუცილებელი მოთხოვნები**

- კომპანიას უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში მოღვაწეობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.
- კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შევსებული ტენდერის სააპლიკაციო ფორმა დანართი N 1
- პროდუქციის ფასების მითითება უნდა მოხდეს დანართი N2 პროდუქციის ჩამონათვალის გასწვრივ, როგორც ერთეულის, ბრენდის დასახელების ასევე ჯამური ღირებულების მითითებით;
- მოთხოვნილი მინიმალური გარანტია შეადგენს 1 წელს;
- წარმოდგენილი სააპლიკაციო ფორმა და წინადადება აუცილებლად უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული;
- კომპანიის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და არ უნდა იყოს ლიკვიდაციის / რეორგანიზაციის პროცესში.

**ანგარიშსწორების პირობები**

- ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში;
- მომწოდებელი ვალდებულია ანგარიში გახსნას სილქ ბანკში;
- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;
- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს

დავალიანება

**გამარჯვებულის გამოვლენა**

სატენდერო კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ ყველა სატენდერო წინადადებას და გამარჯვებულად გამოავლენს ერთ ან რამოდენიმე კომპანიას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- შემოთავაზებული პროდუქციის ფასი;
- პროდუქციის ხარისხი/სპეციფიკაცია;
- პროდუქციის გარანტიის ვადა;
- მოწოდების ვადები;
- კომპანიის გამოცდილება

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი პროდუქცია სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტენდერის პირობებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას არ განიხილოს შემოთავაზება.

**მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი დამატებითი დოკუმენტაცია:**

- სარეკომენდაციო წერილები (მინიმუმ 2 კომპანიის);
- კომპანიის მოღვაწეობის შესახებ ინფორმაცია, გამოცდილება, კლიენტების სია (თავისუფალი ფორმით)

**თანდართული დოკუმენტაცია :**

დანართი N1 - ტენდერის სააპლიკაციო ფორმა ;
დანართი N2 – შესასყიდი სანათების მახასიათებლები და ფასების ცხრილი
დანართი N 3 - ფილიალების მისამართები

**შემოთავაზებების მიღების წესი**

შემოთავაზება დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოთ სს სილქ ბანკის სათაო ოფისის კანცელარიში, 22 იანვარს დილის 10:00 საათიდან 14:00 საათამდე.
მისამართი - ქ. თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N 2,
წარმოსადგენ დალუქულ კონვერტზე აუცილებელი მონაცემები

- ტენდერის სახელწოდება
- კომპანიის სახელწოდება
- საიდენტიფიკაციო ნომერი;
- საკონტაქტო ინფორმაცია (პასუხისმგებელი პირი, ტელეფონი და ელ.ფოსტა)
- <u>ამავდროულად, გთხოვთ სატენდერო წინადადება ასევე გამოაგზავნოთ ელექტრონული ფორმით 23 იანვარს შემდეგ ელ.ფოსტაზე procurement@silkbank.ge</u>

დოკუმენტის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით, კითხვები შეგიძლიათ მოიწეროთ procurement@silkbank.ge მისამართზე ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელ. ნომრებზე:

ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი - შალვა ლეჟავა ტელ: 577362888
ლოჯისტიკის სამსახურის სპეციალისტი - ელენე მუსხელიშვილი 558750055

მადლობა დაინტერესებისათვის